



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27. 27233628

თარიღი:28/12/2023

დადგენილება №23
28 დეკემბერი 2023 წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის "საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 26/01/2023; 270070000.35.163.016582).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დანართი №1 „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა“ ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დანართი №2 „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხა

№	თანამდებობა	რანგი	იერარქია	სამტატო ერთეულის რიცხოვნობა
1	პოლიტიკური თანამდებობის პირები			4
	მერი			1
	მერის პირველი მოადგილე			1
	მერის მოადგილე			2
2	ადმინისტრაციული სამსახური			23
	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
2.1	მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება			3
	მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
2.2	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება			16
	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	8
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	7
2.3	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება			3

	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
3	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური			15
	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
3.1	ინფრასტრუქტურის განყოფილება			7
	ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	4
3.2	სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება			4
	სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	2
3.3	ძეგლთა დაცვის განყოფილება			3
	ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1

	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
4	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			11
	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი		პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
4.1	საბიუჯეტო განყოფილება			4
	საბიუჯეტო განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	2
4.2	სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება			6
	სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	3
5	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური			14
	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
5.1	ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება			3
	ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
5.2	სოციალურ საკითხთა განყოფილება			3

	სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	1
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
5.3	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება			7
	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	3
6	ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური			20
	ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
6.1	ქონების მართვის განყოფილება			6
	ქონების მართვის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	3
6.2	შესყიდვების განყოფილება			5
	შესყიდვების განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	2

6.3	ტურიზმის განვითარების განყოფილება			4
	ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
6.4	საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილება			4
	საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
7	იურიდიული სამსახური			17
	იურიდიული სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
7.1	სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება			4
	სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
7.2	ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება			7
	ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	3
7.3	ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება			5
	ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	3
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
8	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			9

	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
8.1	კულტურისა და განათლების განყოფილება			4
	კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
8.2	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			4
	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	I კატეგორია	1
9	შიდა აუდიტის სამსახური			7
	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
9.1	შიდა აუდიტის განყოფილება			3
	შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
9.2	რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება			3
	რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების უფროსი	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
	უფროსი სპეციალისტი	III რანგი	II კატეგორია	2
	სულ			120

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	საშტატო ერთეულის რიცხოვნობა	საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები				
1.1	მერი	1	1 330	4.6	6 118
1.2	მერის პირველი მოადგილე	1	1 330	3.5	4 655
1.3	მერის მოადგილე	2	1 330	3.2	4 256
2	მერიის პროფესიული საჯარო მოხელეები				
2.1	სამსახურის უფროსი (I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)	8	1 330	2.3	3 059
2.2	განყოფილების უფროსი (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)	21	1 330	1.6	2 128
2.3	ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)	1	1330	1.8	2 394
2.4	უფროსი სპეციალისტი (III რანგის II კატეგორია)	48	1 330	1.2	1 596
	ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი (III რანგის II კატეგორია)	2	1 330	1.4	1 862

2.5	<p>უმცროსი სპეციალისტი</p> <p>(IV რანგის I კატეგორია)</p>	32	1 330	1.0	1 330
2.6	<p>ინფრასტრუქტურის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი</p> <p>(IV რანგის I კატეგორია)</p>	4	1 330	1.2	1 596

განმარტებული ბარათი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და
თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე
დადგენილების პროექტზე**

ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის N58 განკარგულებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად.

დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: 2023 წლის 21 სექტემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „თავდაცვის კოდექსი“, რომლის 180-ე მუხლის თანახმად, 2024 წლის 01 იანვრამდე ამ კანონითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით. მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ეს უფლებამოსილება წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას. მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, რომელიც შედგება 9 (ცხრა) საშტატო ერთეულისგან.

საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ თანახმად, უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრიდან განახორციელებს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო.

იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის 01 იანვრიდან მუნიციპალიტეტი აღარ არის უფლებამოსილი განახორციელოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისა და სარეზერვო სამხედრო სამსახურის ორგანიზება, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, რომელიც შექმნილია სწორედ აღნიშნული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, კარგავს ფუნქციურ დანიშნულებას და ექვემდებარება გაუქმებას, რაც გამოიწვევს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის

საშტატო ნუსხით განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობის ოდენობის შემცირებას 9 (ცხრა) საშტატო ერთეულით.

ნორმატიულ აქტში ცვლილებები აგრეთვე ხორციელდება თანამდებობრივი სარგოების ზრდის მიმართულებით, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებით: „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგო 2023 წელთან შედარებით გაიზარდა და 1210 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1330 ლარის ოდენობით.

ამასთან, ცვლილება ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელისა და განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის ზრდას. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თანამდებობრივი სარგოს დასადგენად უფლებამოსილი თანამდებობის პირი ახორციელებს კოეფიციენტის შერჩევას საჯარო დაწესებულებაში არსებული კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

აღნიშნული ცვლილების განხორციელების მიზანია ინფრასტრუქტურის განყოფილების თანამშრომელთათვის სამოტივაციო სისტემის შექმნა, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ინსტრუმენტია. ის ხელს შეუწყობს დაწესებულებაში პროდუქტიული, პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას და ვაკანტურ პოზიციებზე კომპეტენტური კადრების მოზიდვას. მოტივაცია პირდაპირ არის ასოცირებული სამუშაოს შესრულების ხარისხთან. მოტივაციის სისტემის დანერგვის მიზანია შექმნას დადებითი განწყობა ნაყოფიერი შრომისადმი, დაწესებულების მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოსამსახურემ მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის პასუხისმგებლობა მთლიანად აიღოს საკუთარ თავზე და მუდმივად იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიგვაჩნია, რომ ინფრასტრუქტურის განყოფილების მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ფუნქციური დატვირთვა, მნიშვნელობა და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის დონე არ არის პროპორციული დღეის მდგომარეობით არსებული თანამდებობრივი სარგოების მოცულობებთან. ნორმატიულ აქტში განსახორციელებელი ცვლილება სრულად შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი განისაზღვრა 1.8-ით, ხოლო არსებული კოეფიციენტია - 1.6;

ბ) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (2 სამტატო ერთეული) თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი განისაზღვრა 1.4-ით, ხოლო არსებული კოეფიციენტია 1.2;

გ) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (4 სამტატო ერთეული) თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი განისაზღვრა 1.2-ით, ხოლო არსებული კოეფიციენტია 1.0.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო - ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

დადგენილების პროექტის მიღების შემთხვევაში, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო რიცხოვნობა შემცირდება **9 (ცხრა)** სამტატო ერთეულით (დანართი N1). აგრეთვე, მოხდება თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების მიმართ დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გამოიწვევს არსებული თანამდებობრივი სარგოების ზრდას. ამასთან, გაიზრდება ინფრასტრუქტურის განყოფილების მოხელეთა შრომის ანაზღაურება, რაც დადებით გავლენას მოახდენს განყოფილების ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაზე (დანართი N2).

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ვადებთან.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი
დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია თელავის
მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურები.